ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N162

2015 წლის 29 ოქტომბერი

ქ.ქობულეთი

დაბა ჩაქვის N2 საჯარო სკოლისათვის ჯემალ არძენაძის სახელის მინიჭებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს , საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის N194 ბრძანების მე-4[1] მუხლის ,,ბ" პუნქტის შესაბამისად:

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო თანახმაა დაბა ჩაქვის N2 საჯარო სკოლას მიენიჭოს 1992 წელს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპული ჯემალ არძენაძის სახელი;

2. ქობულეთის რესურსცენტრმა უზრუნველყოს დაბა ჩაქვის N2 საჯარო სკოლაზე ჯემალ არძენაძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელება;

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, მეცნიერების, კულტურის, სპორტისა და ტურიზმის საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ი.ხაჯიშვილი);

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა N30);

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

საკრებულოს თავმჯდომარე ს.ოქროპირიძე